შპს „მაქსი სტუდიო"

ქ. თბილისი, ტოლსტოის ქ. №19, ტელ. 295-16-00

19 აპრილი 2012წ №1–7

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, მარჯანიშვილის ქუჩა №44-ში მდებარე კომერციული დანიშნულების ნაგებობაზე ერთი სართულის დაშენების შესაძლებლობის შესახებ

პროექტის მიხედვით ობიექტი წარმოადგენს სწორკუთხა ფორმის შენობას, 3 სართულიანი, სარდაფის სართულით, მანსარდით. სართულის სიმაღლე h=3,30-4.00მ, შენობის სიმაღლე h=14.70მ. მაქსიმალური ზომებით გეგმაში 25.90მX19.00მ.

შენობის ძალოვან კონსტრუქციას წარმოადგენს მონ. რკ.ბ. კარკასი, საძირკველი – მონ. რკ.ბ. საძირკვლის ფილა. სართულშუა გადახურვები – მონ. რკ.ბ. გადახურვის ფილები. კიბე – მონ. რკ.ბ. ფილაზე ბეტონის საფეხურები, სახურავი – ძირითადში ბრტყელი, რუბეროიდი ბიტუმის მასტიკაზე.

ჩვენს მიერ მოხდა შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა არსებულ შენობაზე ერთი სართულის დამატების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ამჟამად ამოყვანილია შენობის სამი სართული და საჭიროა ერთი სართულის დამატება და შემდეგ მანსარდის მოწყობა. აღნიშნული შენობის მდგომარეობა მოცემულ სტადიაზე დამაკმაყოფილებელია, შენობას არ აღენიშნება ბზარები და დეფორმაციები, როგორც მზიდი კარკასის, ასევე საძირკვლების და კედლების ნაწილში. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ობიექტის ინჟ-კონსტრუქტორის მიერ საწყისი გაანგარიშების სქემაში დამკვეთის მოთხოვნით ჩადებული იქნა მეოთხე სართულის დამატების სიმტკიცის მარაგი.

ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარე ექსპერტიზა იძლევა რეკომენდაციას, რომ არსებულ შენობაზე შესაძლებელია დაემატოს ერთი სრულფასოვანი სართული მასზე საპროექტო მანსარდის მოწყობით, რაც არავითარ ზეგავლენას არ

მოახდენს შენობის საერთო მდგომარეობაზე, თუმცა საჭიროა პროექტის ინჟ. კონსტრუქტორის მიერ კიდევ ერთხელ გადამოწმდეს შენობის საანგარიშო სქემა.

სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე.

ექსპერტი:

ინჟ. კონსტრუქტორი: / ნ. კაციტაძე /

მე ნინო კაციტაძე 1990 წლიდან ვახორციელებ სამშენებლო საქმიანობას, 2008 წლიდან ვარ შ.პ.ს. "მაქსი სტუდიო"-ს დირექტორი, სადაც ვარ პროექტის მთავარი კონსტრუქტორი და ვახორციელებ საპროექტო სამუშაოებს, ასევე მოწვეული ვთანამშრომლობ შ.პ.ს. "პროექტ"-თან, შ.პ.ს. "თბილქალაქპროექტთან"- თან; შ.პ.ს. "არქ-სტუდიოსთან", შ.პ.ს. "აკო"-სთან.

ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტების პროექტები:

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, მთაწმინდა-კრწანისის რ-ნი, კრწანისის ქ. №21.

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, სანდრო ეულის ქ. №5

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, მთაწმინდა-კრწანისის რ-ნი, რჩეულიშვილის ქ.№11

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, უნივერსიტეტის ქუჩა

— ქ. თბილისში, ვახუშტის ხიდიდან გ. საკაძის მოედნისკენ მიმავალ გზაზე მდებარე №16/77 მიწის ნაკვეთზე სავაჭრო-საკვებობრივი დანიშნულების შენობა.

— სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტი ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, თემქის III მ/რ, V კვ.

— ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვახუშტის ხიდიდან საკაძის მოედნისკენ მიმავალ გზაზე ნაკვ 16/054 სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტი.

და სხვა.

შ.პ.ს. "მაქსი სტუდიო"-ს
დირექტორი: /ნ. კაციტაძე/

საქართველო

დიპლომი ლა № 003157

მიეცა ნინო ჯღმარის ასული კაჭარავას

იმაზე, რომ ის 1989 წელს შევიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1995 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული კურსი „სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის" სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1995 წლის „28" ივნისის გადაწყვეტილებით ნ. კაჭარავას მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი რ. ხ[illegible]

მდივანი შ. [illegible]

სარეგისტრაციო № 4193

ქალაქი თბილისი „23" VII 1996 წ.

ЯПФ Гознака. 1990.

ხელშეკრულება № 1–7

დაკვეთა №1–7
12.04.12წ

ერთის მხრივ შპს "კოლხეთი XXI"-ის დირექტორი მ. კოდუას სახით შემდგომში წოდებული როგორც "დამკვეთი" და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "მაქსი სტუდიო" მისი დირექტორის ნ. კაციტაძის სახით, შემდგომში წოდებული როგორც "შემსრულებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით "შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას შეასრულოს დამკვეთს ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, მარჯანიშვილის ქუჩა №44-ში მდებარე კომერციული დანიშნულების ნაგებობაზე ერთი სართულის დაშენების შესაძლებლობის შესახებ საექსპერტო დასკვნა.

1.2. შემსრულებელი აცხადებს რომ გააჩნია ყველა აუცილებელი ნებართვა, ხოლო მის თანმიმრთმელებს კვალიფიკაცია სპროექტო სამუშაოების განახორციელებლად და ის უზრუნველყოფს პროექტის მაღალხარისხიან შესრულებას და მის შესაბამისობას კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

2. მხარეთა ვალდებულებანი

2.1. დამკვეთი ვალდებული ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით შეთანხმებულ ვადაში მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან

2.2 შემსწრულებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, სამუშაოს ჩაბარების გრაფიკის მიხედვით:

სამუშაოს ჩაბარების გრაფიკი

როდუქციის სახეობა	დაწყება	დამთავრება	სრული ტანაპის ფასი
ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, მარჯანიშვილის ქუჩა №44-ში მდებარე კომერციული დანიშნულების ნაგებობაზე ერთი სართულის დაშენების შესაძლებლობის შესახებ საექსპერტო დასკვნა.	12.04.2012წ	19.04.2012წ	200(ორასი)ლარი

2.3 შემსრულებლის მიერ ამ ხელშეკრულების 2.2 პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება

2.4. ამ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.5 მხარეები თავისუფლდებიან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ფორსმაჟორული პირობების დადგომისას

3. ანგარიშსწორება

3.1მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებდეს გადარიცხვით ერთ ეტაპად: 200(ორასი)ლარი გადაიხდება ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი საბანკო დღის ვადაში.

3.2ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 200(ორასი)ლარს.

3.3. "შემსრულებლის" მიერ ხელშეკრულების 2.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახელშეკრულებო ღირებულება მცირდება ყოველ დაგვიანებულ დღეზე 0,5%-ით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელისმოწერის მომენტიდან და გრძელდება დამკვეთის მიერ სამუშაოს საბოლოოო ანაზღაურებამდე.

4.2. მხარეთა შორის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს

ა) ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რის შესახებაც მხარემ უნდა აცნობოს მეორე მხარეს არაუგვიანეს 7 დღისა.

ბ) ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში

4.3. მხარეთა შორის სადავო საკითხების წარმოშობის შემთხვევაში დავა რეგულირდება ურთიერთმოლაპარაკებით, ხოლო თუ ურთიერთმოლაპარაკებისას შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. დამატებითი პირობები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

6. მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი:

შპს "კოლხეთი XXI"-ის დირექტორი: _____ მ. კოდუა
"შემსრულებელი"

შ.პ.ს. "მაქსი სტუდიო" ქ. თბილისი, ტოლსტოის N19, "პროკრედიტ ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი კოდი MIBGGE22, ა/ნ GE10PC0413600100001375, ს/ქ №204556211

შ.პ.ს. "მაქსი სტუდიოს"-ს დირ-რი: _____ ნ. კაციტაძე

ა ქ ტ ი № 1–7

სამეცნიერო ტექნიკურ პროდუქციაზე მიღება-ჩაბარების

ხელშეკრულება № 1–7/2012 შედგენილია 12.04.2012წ.

ობიექტი:

ქ. თბილისში, დიდუბე-წყნეთის რაიონში, მარუჯანიშვილის ქუჩა №44-ში მდებარე კომერციული დანიშნულების ნაგებობაზე ერთი სართულის დაშენების შესაძლებლობის შესახებ სექტსპერტო დასკვნა.

ჩვენ, ხელისმომწერნი, შემსრულებლის წარმომადგენელი შ.პ.ს. "მაქსი სტუდიო"ს დირექტორი ნ. კაციტაძე, ერთის მხრივ და „შემსყიდველი" შპს "კოლხეთი XXI"-ის დირექტორი მ. კოდუა სახით, შეგვდგინეთ აქტი მასზედ, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს.

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს –200(ორასი)ლარს

"შემსრულებელი"

შ.პ.ს. "მაქსი სტუდიო"-ს დირ-რი:

ნ. კაციტაძე

"შემსყიდველი"

შპს "კოლხეთი XXI"-ის დირ-რი:

მ. კოდუა